

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №01-06/04
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

2. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 30 მარტის №19 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტი
2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	7400	
					გარე განათების მოწყობა	2600	
5		ტაკიძეები	186	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
6		ხარაულა	639	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
7	ჯალაბაშვილები	310	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000		
ჯამი			80000				
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
9		ახო	594	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
10		ბეგელიძეები	428	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8000	
					სარწყავი წყლის ტუმბისათვის შენობის აშენება	4000	
12		კოკოტაური	545	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
ჯამი			86000				
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	

17		კანტაური	76	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
18		საბადური	57	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
19		ტიბეთა	154	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
20		სასადილოყელი	17	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
ჯამი				78000				
21		ზვარე	201	12000	გარე განათების მოწყობა	8000		
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4000		
22		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	16000		
23	ზვარე	ზესოფელი	205	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000		
24		კვაშტა	279	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6000		
25					გარე განათების მოწყობა	6000		
26			სირაბიძეები	252	12000	გარე განათების მოწყობა	8000	
						წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა	4000	
ჯამი				64000				
27	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
28		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000		
29		გულები	235	12000	გარე განათების მოწყობა	7300		
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4700		
30		ზენდიდი	297	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000		
31		კორომხეთი	160	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
32		ორცვა	232	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000		
33		ქედა	149	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
34		შევაბური	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
35		ცხემნა	156	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6100		
					გარე განათების მოწყობა	3900		
36		ძენწმანი	197	10000	გარე განათების მოწყობა	10000		

37		ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	118000			
38	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
39		ზედა აგარა	106	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
40		კოლოტაური	473	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	7000	
					გარე განათების მოწყობა	9000	
41	ქვედა აგარა	109	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
			ჯამი	52000			
42	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
43		ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
44		ზ/მახუნცეთი	203	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
45		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
46		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
47		ქოსოფელი	72	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
48		მილისი	123	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
50		უჩხითი	260	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	106000			
51	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
52		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
53		ჭინკაძეები	202	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	38000			
54	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
55		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
56		გოგინძეები	95	10000	გარე განათების მოწყობა	7100	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	2900	
57		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
58		მეძიბნა	188	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	54000			
59	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
60		გარეტყე	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
61		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	8500	

				საერთო სარგებლობის წისქვილის რეაბილიტაცია	3500	
62	ინჟინერები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63	ნამონასტრევი	60	10000	გარე განათების მოწყობა	5000	
				საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5000	
64	სილიბაური	117	10000	გარე განათების მოწყობა	2200	
				საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	7800	
65	სიხალიძეები	148	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
ჯამი			74000			
სულ ჯამი			750000			

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილება და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 30 მარტის №19 განკარგულება. შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ რეგულაცია.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის 30 მარტის №19 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 000 ლარი. მიმდინარე წლის ივნისის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ასევე განმარტავთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა, რომ განხორციელდეს აუცილებელია მისი დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ავ. წერეთლის ქ. №4 (ყოფილი №3)-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 242.3 კვ.მ. ფართობის (ს/კ 21.03.34.286.01/502) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სათვის (ს/კ:245610398) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - ლევან გორგილაძეს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ (ს/კ 245610398) წერილობით (MES 3 21 0000099223; 11/02/2021), განმარტავს, რომ „გაეროს განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, ქედის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა პროფესიულ კადრებზე მოთხოვნა, მათ შორის, ტურიზმისა და აგრარული მიმართულებით. შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და ქედის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კოლეჯი აცხადებს მზაობას ქედის მუნიციპალიტეტში განახორციელოს პროფესიული პროგრამები. აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის, მოითხოვს შესაბამისი ფართის გადაცემას. კოლეჯი მზაობას აცხადებს პროფესიული პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვის სასწავლო სივრცე (მათ შორის ტურიზმისა და აგრარული მიმართულებით პროფესიული კადრების მომზადების მიზნით), რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო მიზნებისათვის.

ასევე გაგიმარტავთ, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში მუდმივად იზრდება მოთხოვნა ახალგაზრდობის მხრიდან პროფესიული განათლების მიღების კუთხით, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სათანადო სასწავლო სივრცის მოსაწყობად, სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოთ (მისი არსებობის ვადით), გადაეცეს დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N4-ში მდებარე მუნიციპალიტეტის კუთვნილ შენობაში, პირველ სართულზე არსებული 242,3 კვ. მეტრი ფართი (ს/კ 21.03.34.286.01/502.), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 87 054.00 (ოთხმოცდაშვიდიათას ორმოცდათოთხმეტი) ლარს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა აკ. წერეთლის ქ. №4

(ყოფილი №3)-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 242.3 კვ.მ. ფართობის (ს/კ 21.03.34.286.01/502) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სათვის (ს/კ:245610398) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემა.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (ს.ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021310764 - 20/04/2021 15:49:30

მომზადების თარიღი
20/04/2021 18:28:12

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქელა	დაბა ქელა				ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
21	03	34	286	01/502	დამუსტგებული ფართობი: 1098.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი ქელა, დაბა ქელა, წერეთლის ქ. N4, (ყოფილი 3)					ნაკვეთის წინა ნომერი: 21.03.34.061; შენიშვნა-ნაგებობები: N1 საერთო ფართობი 837.1 კვ.მ;

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021310764 , თარიღი 20/04/2021 15:49:30
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/04/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N03/2584 , დამოწმების თარიღი:20/04/2021 , ქელის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის შესახებ N1/1-2839 , დამოწმების თარიღი:08/12/2014 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი	სართული1,	242.30 კვ.მ.

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის


მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაფსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

I სართული



ექსპლიკაცია

სართო ფართი: 242,3 მ²

თანამდებობა	სახელი გვარი	ხელმოწერა	პროექტის სახელწოდება	სტადია	თარიღი
შ.პ.ს. „კოა-3“-ის დირექტორი	მ. გოგობიძე		პროექტის სახელწოდება	პროექტი	02.09.2018
ქობულეთის რაიონის მუნიციპალიტეტის მერიის	მ. კახიანიძე		პროექტის სახელწოდება	შეამოწმა	1300
			პროექტის სახელწოდება	შეამოწმა	



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2021 წლის -- აპრილი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის
2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ
ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული კვარტალური მოცულობა 2219427 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 219 427 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის I კვარტლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 392 371.65 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 100 000 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 830 443.78 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 680 935.44 ლარი, ქონების გადასახადი 2 676.25 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 146 832.09 ლარი, მათ შორის: პროცენტები 22 440.06 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 10 624.21 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 2 985.19 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 2 100 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 4 169.73 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 104 512.90 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 27 766 ლარი. 2021 წლის I კვარტლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 107,20%-ით.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 219 427 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 860 192.28 ლარი. (83.81%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 567 695 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 515 357 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 138 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 131 227 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 361 900 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 344 130 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 17 400 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 157 ლარი.

II. ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 429 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 392 372 ლარი, საიდანაც

სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარის წყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 429 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 392 372 ლარი,

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 79 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 67 409 ლარი, მათ შორის

შპს ქედის წყალკანალი 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 79 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 67 409 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი.

მუნიციპალური განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 26 400 ლარი, მათ შორის:

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 26 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199466 ლარი.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 000 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 000 ლარი.

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3600 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 485 ლარი.

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 155 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 137 897 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 155 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 137 897.

IV. განათლება

განათლების სფეროს 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 301 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 294 202 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 301 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 294 202 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 301 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 294 202 ლარი.

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 299 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 280 227 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 86 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 79 450 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 46 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45 278 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 000 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 172 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 212 150 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 200 777 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 160 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 158 212 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 817 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 749 ლარი.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 296 205 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 139645 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 206 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 84 833 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 37 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 37 900 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 179 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14200 ლარი.

ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 4965 ლარი.

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3589 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 89 405 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 54 812 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 976 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 700 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 600 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 800 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 985 ლარი.

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაციურ რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 796 ლარი.

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 150 ლარი.

მარტოხელა პენსიონერებისათვის სასურსათო პროდუქტის შექმნა 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 500 ლარი.

საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 27 605 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26 805 ლარი.